პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 130 (4124)

1970 წ. 5 ივლისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ჩოხელ კაჯაიას დასაბრუნებელ ჯაჭვი იყო...

ერფურტი, 4 ივლისი. ა. ბ. გამართულ შეჯიბრებებში ფალოდ ტერის 400 მეტრზე რეკორდი ახალი რეკორდით მოიგო ფიშერმა — 52,8 წამი. ცნობილმა სტაიერმა ჰაზემ ტარტანის ბილიკზე 10 ათასი მეტრი 28 წუთსა და 26 წამში გაირბინა. შენკემ 10,1 წამში დაფარა 100-მეტრიანი დისტანცია. ურალ ტყორცნაში ყველას აჯობა ტაიმერმა — 71,56 მ. 100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ხაუკეთესო იყო მაისნერი — 11,2, ხოლო 1500 მეტრზე — ჰოფმაისტერი (ავსტრია) — 4.16,0.

საქართველოს ჩემპიონები მშვილდოსნობაში



მშვილდოსანთა რესპუბლიკურ პირველობაში, როგორც ცნობილია, ქუთაისელებმა ყველა ვარჯიშში საქართველოს ჩემპიონობა მოიპოვეს. ქალებში იმარჯვეს ქ. ლოსაბერიძემ და გ. რიფამაძემ, ვაუებში — ბ. ქორიძემ და ა. არველაძემ.

სურათებზე: ზევით, მარცხნივ — ლოსაბერიძე, მარჯვნივ — რიფამაძე; ქვევით — ქორიძე (მარცხნივ) და არველაძე ერთმანეთს წარმატებას ულოცავენ.

ო. გელაშვილის ფოტო.

ვ. სანეევი კვლავ პირველია

კიევი, 3 ივლისი. გამოჩენილი საბჭოთა მძლეოსნების, ძმების ს. და გ. ხნამენსკეების მემორიალში მასპინძლებს — სსრ კავშირის ათლეტებს გამარჯვებას ეცილებოდნენ პოლონეთის, უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ფინეთის, იაპონიის, არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის, ბულგარეთის, სუდანისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. მაგრამ საბჭოთა მძლეოსნები შეჯიბრებას შესანიშნავად მომზადებული შეხვდნენ და თითქმის ყველა სახეობაში პირველობაც მიიპოვეს, თანაც, უმეტესად მაღალი შედეგები მოიხვეჭეს.

პირველი დღის ბოლო აკორდი თარჯრბენსა და სპორტულ სიარულში შეჯიბრება იყო. 110 მეტრზე თარჯრბენი ვ. ბალიხინმა (14,0), 200 მეტრზე ქალთა თარჯრბენი კი მ. ნიკიფოროვამ მოიგო — 26,8. 400 მეტრზე რბენაში ევროპის ჩემპიონს ა. ბრატჩიკოვს ძლიერი მეტოქეები არ ჰყავდა და ამიტომ იგი საშუალო შედეგით (46,6) გამარჯვებას დასჯერდა. 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ფინეთთან პირველი მივიდა მეხიკოს ოლიმპიადის პრიზიორი ნ. სმაგა — 1:33.09.

200 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის ბრძოლა გუშინ დაიწყო. ნახევარფინალში ყველაზე კარგი მაჩვენებელი (21,0) კიეველ ვ. ბორზოვს ჰქონდა, ფინალში კი მან სსრ კავშირის რეკორდი (20,5) გაიმეორა. ეს წლევანდელ ევროპაში საუკეთესო შედეგია.

სიმაღლეზე ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ვ. გავრილოვს. მან 220 სმ გადალახა, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა და პირველობა დაისაკუთრა. 1500 მეტრზე რბენაში ვ. ელეობოვსკიმ იმარჯვა — 3.43,6, 10.000 მეტრზე კი ლ. მიკიტენკომ — 28.56,8.

საერთო ინტერესს იწვევდა სამხტომში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონისა და მსოფლიო რეკორდსმენის, სოხუმელი სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. სანეევის გამოსვლა. ერთერთ ცდაზე მან მემორიალის რეკორდი (16,84 მ) დაამყარა და I ადგილიც დასაკუთრა.

ურალ ტყორცნაში პირველი იყო ა. ბონდარჩუკი — 72,36 მ. სტუმართაგან მხოლოდ მ. მილენსკიმ (ბულგარეთი) გაიმარჯვა — მისი შუბი 78,24 მეტრზე გაფრინდა.

დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელიც 23-24 ივლისს ლენინგრადში აშშ-ს ნაკრებს მორიგ მატჩში შეეჯიბრება.

...როგორც ნათხილამურევზე

1 მაისის ტბები ალმა-ათელთა ერთ-ერთი საყვარელი დასასვენებელი ადგილია. აქ ხშირად იყრიან თავს, ცურავენ რეზინის ლიბებითა და ბალიშებით, „ბაყაყებითა“ და „ბედებით“. აი, შუა ტბაში მიჰქრის წყლის თხილამურებზე შემდგარი სპორტსმენი, რომელიც ძრავიან ნავს მიჰყავს ბუქსირით. ეს ნაცნობი სურათია ყველა წყალსაცავისთვის.

მაგრამ ეს რაღაა? ნაპირს ვიღაც კაცი მიუახლოვდა, შალითიდან ჩვეულებრივი სიგრძის, მაგრამ უფრო ფართო და მასიური თხილამურები ამოიღო, ფეხზე მოირგო, ჯოხები მოიმარჯვა და... წყალზე გასრიალდა.

... ეს მართლაც თხილამურები იყო — სიგრძით 180, სიგანით 21 და სისქით 24 სანტიმეტრი. ისინი ხელოვნური მასალისგან გაკეთია ალმა-ათის ინდუსტრიული ტექნიკუმის მასწავლებელმა, 32 წლის ვ. კრიუჩკოვმა. თხილამურებს სქელი ქსოვილი აქვს გადაკრული, ნიტროემალითაა შეღებილი და საუცხოოდ იკავებს ადამიანს წყალზე.

— ძნელი იყო ამ თხილამურების შექმნა?

— მე დიდხანს ვაგროვებდი პლასტიკურ მასალას, — ამბობს კრიუჩკოვი. — რომელიმე საამქროს ამ თხილამურების გაკეთება არ გაუჭირდებოდა და არც ძვირი დაჯდებოდა — სულ 13-17 მანეთი. ამ თხილამურებით შეიძლება თევზაობა, წყლის ფრინველებზე ნადირობა. ჩემი აზრით, სისწრაფეში შეჯიბრებებიც შეიძლება მოეწყოს.

მე რომ მკითხოთ, კრიუჩკოვის აზრი საინტერესოა და მისი განხორციელებაც სრულიად ადვილი შესაძლებელია.

უ. კაიმირასოვი.

ალმა-ათა.

...ჩვენ ამბავს რესპუბლიკებში

სპორტი ჩვენი დამხმარეა

ერთხელ ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის „პრიამურიეს“ თავმჯდომარის მოადგილე ი. ტიშკოვი მექანიზატორებს ეწვია მინდვრად. დასვენების დროს ახალგაზრდებმა ჭიდაობა გააჩაღეს. ტიშკოვიც ჩაერია.

— აბა, ბიჭებო, მიმიღეთ თქვენს კომპანიაში! ვინ დამეჭიდება?

ტრაქტორისტებმა ტიშკოვს ახედ-დახედეს. მაღალია, მაგრამ რაღაც სუსტი ჩანსო, გაიფიქრეს. მაგრამ ტიშკოვმა ზედიზედ დააწვინა ბიჭებზე ერთი, მეორე, მესამე.

— ღონიერი ყოფილხარ! გინდა, კიდევ ვცადოთ?

— რატომაც არა, მაგრამ განა არა სჯობს ჭიდაობის სექცია ჩამოვაყალიბოთ? ვივარჯიშებთ, შეჯიბრებებს მოვაწყობთ.

მალე კოლმეურნეობაში შეიქმნა კლასიკური ჭიდაობის სექცია, რომელსაც პირველთანრიგოსანი ი. ტიშკოვი ჩაუდგა სათავეში. მოჭიდავეთა გუნდმა უკვე ბევრჯერ მოიპოვა გამარჯვება „უროჟაის“ საოლქო პირველობაში. წლევანდელ შეჯიბრებაში კი ამ გუნდმა, როგორც ყველაზე შედეგიანმა და ტექნიკურმა კოლექტივმა, სამუდამოდ დაისაკუთრა ჩემპიონთა თასი.

სხვადასხვა სექციაში „პრიამურიეს“ 100-ზე მეტი კოლმეურნეა გაერთიანებული. ჰყავთ ჰოკეისტები და ძალოსნები, ფეხბურთელები და ჩოგბურთელები, კალათბურთელები და მოთხილამურეები. სექციებს ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობის ინჟინერი ი. ბაკინი, მძღოლი გ. მალკი, ალკა კომიტეტის მდივანი ვ. მელნიკოვი და სხვ. მეცადინეობები ტარდება სპორტულ მოედნებზე, რომლებიც ენთუზიასტებმა თავისი ხელით მოაწყვეს, აგრეთვე, კოლმეურნეობის ახალ სპორტის სასახლეში.

მალე კოლმეურნეებს საკუთარი მოცურავეებიც ეყოლებათ. მათთვის უკვე დაიწყო წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც 800 ჰექტარს დაიჭერს.

კოლმეურნეობა „პრიამურიე“ ერთ-ერთი მოწინავეა შორეულ აღმოსავლეთში და დიდი შემოსავალიც აქვს. გამგეობა ამ შემოსავლის დიდ ნაწილს სპორტულ მუშაობას უთმობს.

ა. ბროფიმოვი.

ამურის ოლქი.

ვეტერანთა ზეიმი

ამ უჩვეულო ასპარეზობის მონაწილეთა საშუალო ასაკი დაახლოებით 50 წელია. მათ მიერ მოტოციკლებით ნაჩვენები საშუალო სისწრაფე კი ოდნავ თუ ჩამორჩებოდა ბიკერნიეკსის ტრასის ჩვეულებრივ სიჩქარეს. ლატვიაში ტრადიციადქცეულ სამოტოციკლო სპორტის ვეტერანთა შეჯიბრების სტარტზე (ასპარეზობა მესამედ ტარდება) 50-ზე მეტი კაცი გამოვიდა.

განსაკუთრებით მწვავე იყო „250-ანებით“ ბრძოლა. ორი სერიის ჯამში 61 წლის ა. ბადერმა მოუგო ე. ზირნისს, რომელიც მასზე 3 წლით უმცროსია. მაგრამ გამარჯვება ორივეს მიეკუთვნა: პირველს — 60 წელზე უფროსი ასაკის მონაწილეთა ჯგუფში, მეორეს — 50-დან 60-წლამდე ასაკის ვეტერანთა შორის.

ქალთა ჯგუფში სტარტზე არ გამოსულა ვეტერანთა განვლილ შეჯიბრებაში გამარჯვებული ე. გუდრინიეცე, თუმცა სასტარტო ოქმებში მისი გვარი აღნიშნული იყო. ინფორმატორმა გამოაცხადა, რომ რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი გუდრინიეცე მონაწილეობს საერთაშორისო სიმპოზიუმში, რომელიც რიგაში ტარდება.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაბადებულ მოტომრბოლელთა ნაწილი საჩვენებელ გამოსვლებში მონაწილეობდა. მათ შორის იყო 77 წლის ფ. ვაგულენი, რომელმაც თავისი პირველი მოტოციკლი 1913 წელს იყიდა გამოჩენილი მფრინავის უტოჩკინისგან. 1921 და 1923 წლებში მან მოიგო პეტროგრადის თასი ველოსრბოლაში, აქვს 167 მედალი და 39 თასი. ახლა იგი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯია მოტოსპორტში.

ვეტერანთა ზეიმზე მოეწყო ძველი მანქანების კონკურსიც. პირველი პრიზი მიიღო „ფნ“ კლასის მოტოციკლმა, რომელიც 1918 წელსაა გამოშვებული.

ი. ბრეიგისი.

რიგა.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში



გუშინწინ გამართული კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „პამირი“ (დუშანბე) 2:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „ალგა“ (ფრუნზე) 2:0, „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 4:0, „ყუბანი“ (კრასნოდარი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 4:0, „მეტალისტი“ (ხარკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, ასკ (კიევი)—„ყაირათი“ (ალმა-ათა) 0:1, „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „დაუგავა“ (რიგა) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:2, „დინამო“ (ლენინგრადი) — „რუბინი“ (ყაზანი) 0:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „ვოლგარი“ (ასტრახანი) 3:2.

20-ს

◆ ციურიხი, 4 ივლისი. ოლიმპიურმა ჩემპიონმა გამუდიმ (ტუნისი) აქ ორი გამარჯვება მოიპოვა: 5000 (13.57,2) და 1500 მეტრზე (3.44,6) რბენაში. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კილომეტრნახევრიან დისტანციაზე გამარჯვებული მხოლოდ ფოტოფინიშმა გამოავლინა: გამუდისთან ერთად ფინიშთან მიიჭრნენ ფრანგი მძლეოსნები ნიკოლა და ტუსანი. ორი გამარჯვება იზეიმა დასავლეთგერმანელმა როზენდალმაც: სიგრძეზე ხტომაში (672 სმ) და 100 მეტრზე თარჯრბენში (13,1). ამ სასეობაში გამარჯვებულიც ფოტოფინიშმა გამოარკვია: როზენდალმა ოდნავ მიასწრო ავსტრალიელ კილბორნს. 400 მეტრზე რბენაში პირველნი იყვნენ ოლიმპიური ჩემპიონი, ფრანგი ბესონი (52,6) და მსოფლიო რეკორდსმენი, აშშ-ს წარმომადგენელი ევანსი (45,6). 110 მეტრზე თარჯრბენში წლეულს ევროპაში საუკეთესო დროით გაიმარჯვა ტრუმლიმა (გფრ) — 13,4. მისი თანამემამულე შუბერტი პირველი იყო 400 მეტრზე თარჯრბენში — 50,4.

უიმბლდონის ფინალში!

ლონდონი, 4 ივლისი. საბჭოთა სპორტსმენები ო. მოროზოვა და ა. მეტრეველი მსოფლიოში უდიდესი საჩოგბურთო შეჯიბრების ფინალში ისპარეზებენ — შერეულ წყვილებში გადამწყვეტი გამარჯვებისთვის იბრძოლებენ. უიმბლდონის ტურნირის ნახევარფინალში ამ დუეტმა მწვავე ჭიდილში სძლია ჰელენ გურლეისა (ავსტრალია) და ჰენკ ირვინს (როდეზია) — 9:11, 6:3, 6:4. საბჭოთა წყვილის მეტოქე № 1 კორტზე, სადაც ტურნირის უძლიერესი მონაწილენი გამოდიან, ჯერჯერობით უცნობია: დალტონ (ავსტრალია) — მაკმილანისა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და კაზალს (აშშ) — ნასტასეს (რუმინეთი) ნახევარფინალური შეხვედრა დაბინდების გამო დაუმთავრებელი დარჩა. ორივე დუეტმა თითო ხელი მოიგო — 7:5, 2:6.

მოროზოვა — მეტრეველის წყვილმა ერთხელ უკვე ითამაშა უიმბლდონის ფინალში: 1968 წელს მან პირველი პრიზი მძაფრ ბრძოლაში დაუთმო ავსტრალიელებს კურტსა და ფლეტჩერს — 1:6, 12:14.

უიმბლდონის ფინალში კიდევ ერთი საბჭოთა ჩოგბურთელი გამოვა. ესაა მ. კროშინა, რომელიც გოგონათა ტურნირში თამაშობს. ნახევარფინალში ამ 17 წლის ალმა-ათელმა აჯობა ინგლისელ ბლეჩფორდს — 3:6, 6:3, 6:1.

გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონებიც. ვაუთა წყვილებში ბოლო 6 წლის მანძილზე მესამედ მოიხვეჭეს უძლიერესთა სახელი ავსტრალიელებმა ჯ. ნიუკომბმა და ტ. როჩმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს თანამემამულეები კ. როზუოლი და ფ. სტოლე — 10:8, 6:3, 6:1.

ქალთა შორის გაიმარჯვა ავსტრალიელმა მ. კურტმა. ფინალში მან სძლია ამერიკელ ბ.-ჯ. კინგს — 14:12, 11:9.

სეზონის აღმოჩენა

წყალში მხტომელებს ორ ფრონტზე უხდებოდათ ბრძოლა, ვინაიდან მოსწავლეთა სპარტაკიადის და იუნიორთა რესპუბლიკური შეჯიბრების ჩემპიონის სახელისთვის ასპარეზობდნენ: ჩათვლა პარალელური იყო. მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამაში 3-მეტრიანი ტრამპლინიდან და 10-მეტრიანი კოშკიდან ხტომა შედიოდა, რესპუბლიკური შეჯიბრების პროგრამაში კი 1-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაც.

თუ ძალთა შეფარდებაზე ვიმსჯელებთ, თბილისელებს აშკარა უპირატესობა ჰქონდათ. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან მათს განკარგულებაშია ზამთრისა და ზაფხულის აუზები, რაც სრულწლიური ვარჯიშის საშუალებას იძლევა. ორიოდე თვის წინ ქუთაისშიც გაიხსნა შესანიშნავი აუზი გათბობით. აჭარასა და აფხაზეთში კი წყალში ხტომის მოყვარულებს ჯერ კიდევ ვერ შეუქმნეს სათანადო პირობები.

— წელიწადში მხოლოდ ხუთ თვეს ვვარჯიშობთ, ისიც უმთავრესად დარბაზში — აკრობატიკაში, ქორეოგრაფიაში, ტანვარჯიშულ იარაღებზე. ინვენტარის ნაკლებობას არ ვუჩივით, მაგრამ მთავარი ისაა, რომ არა გვაქვს ზამთრის აუზი გათბობით. მართალია, ფიზკულტურის მესვეურები ხელს გვიწყობენ, რათა ზამთრობით რესპუბლიკის გარეთ გამართულ სამატჩო შეხვედრებში მონაწილეობით შევინარჩუნოთ ფორმა, მაგრამ ეს არ კმარა, — ამბობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი გ. ქირია (აფხაზეთი).

უკეთეს პირობებში არც აჭარის სპორტსმენები არიან. მათ აუზი აქვთ, მაგრამ წყალი არ თბება. ტრამპლინი ავარიულ მდგომარეობაშია, ზაფხულობით ვარჯიში კი ამინდზეა დამოკიდებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებში აჭარის სამმა სპორტსმენმა მოიპოვა ადგილი. ესენი არიან ა. ანთაძე, ლ. სტრელნიკოვა და ა. გრიგორიანი.

ტურნირებმა კიდევ გამოავლინა რამდენიმე ნიჭიერი სპორტსმენი: ო. ნაჭყებია და ე. ბოიარკინა (ორივე — აფხაზეთი), ვ. თელია (ქუთაისი), 10 წლის კ. პეტროვა და ს. ვართანოვი (ორივე — თბილისი). წლევანდელი სეზონის აღმოჩენაა 13 წლის ლ. ფირანიშვილი, თუმცა თბილისელმა გოგონამ სულ 30 ვარჯიშის ჩატარება შეძლო. მას შესანიშნავი ტანვარჯიშული მომზადება აქვს და შეუძლია მალე რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა შორის დაიმკვიდროს ადგილი.

აღსანიშნავია, რომ სარბიელზე 50 სპორტსმენი გამოვიდა. ეს ბავშვთა ყველაზე მრავალრიცხოვანი შეჯიბრება გასულდათ ბოლო წლებში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში როგორც მოსწავლეთა სპარტაკიადის, ისე რესპუბლიკური ჩემპიონატის პროგრამით, ადგილები ასე განაწილდა: თბილისი, აფხაზეთი, აჭარა და ქუთაისი.

გ. ჩიქვანაია.

ტექნიკური შედეგები

1-მეტრიანი ტრამპლინი. გოგონები. ე. გნიოტოვა (თბილისი) — 313,1, ე. ბოიარკინა—298,55. მ. გრებენიუკი (თბილისი) — 287,1; **ბიჭები.** ს. ვართანოვი — 419,8, თ. მელაძე — 335,8, რ. ბაღდასაროვი (ყველა — თბილისი) — 334,45. **3-მეტრიანი ტრამპლინი. გოგონები.** გრებენიუკი — 323,25, ბოიარკინა — 302,90, გნიოტოვა — 266.95; **ბიჭები.** ვართანოვი — 396,7, ა. თაბუნოვი — 355, ს. გელაზაროვი (ორივე — აფხაზეთი) — 322,7. **10-მეტრიანი კოშკი. გოგონები.** ბოიარკინა — 249,05, გნიოტოვა — 205,15, ნ. კალაშნიკოვა (აფხაზეთი) — 142,7; **ბიჭები.** ვართანოვი — 398,5, თაბუნოვი — 314,7, ა. ანთაძე — 302,95.

• • •



სურათზე: ს. ვართანოვი ახტომარეზობისას.

ავტორის ფოტო.

ბაზალეთის ტბაზე

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადის ორგანიზატორები კარგად მოიქცნენ, ნიჩბოსანთა საასპარეზოდ ბაზალეთის ტბა რომ აირჩიეს. დუშეთის რაიონის ხელმძღვანელობამ თავი არ დაზოგა, რათა რესპუბლიკური ტურნირის მონაწილეებისთვის ღირსეული მასპინძლობა გაეწია და შეჯიბრება მაღალ დონეზე გაემართა. კარგად მუშაობდა ასპარეზობის მსაჯთა კოლეგიაც (მთავარი მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გ. რევია).

სტარტზე გამოვიდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, რუსთავის, ფოთის, მცხეთისა და დუშეთის სპორტსმენები. ყველაზე კარგად მომზადებულნი მცხეთის, რუსთავისა და აჭარის ნიჩბოსნები აღმოჩნდნენ, რასაც ვერ ვიტყვით თბილისის, აფხაზეთის, ფოთისა და სხვა გუნდებზე.

ფოთელებს ადრე კარგი ტრადიციები ჰქონდათ, მაგრამ ახლა ამ ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლაში ჯგუფებმა მუშაობა შეწყვიტეს და შედეგმაც არ დაყოვნა: ფოთელებმა ამ ტურნირში მხოლოდ 52 ქულა მოაგროვეს და V ადგილს დასჯერდნენ.

განსაკუთრებით გვაოცებს აფხაზეთის ნიჩბოსნების სუსტი მომზადება. მწვრთნელებმა თ. ტოლკაჩოვამ და ვ. ტურკოვსკაიამ საასპარეზოდ მოუმზადებელი გუნდი ჩამოიყვანეს, 14 ქულა ძლივს მოაგროვეს და მხოლოდ მასპინძლებს აჯობეს.

სამაგიეროდ, ქების ღირსნი არიან მცხეთის, რუსთავისა და აჭარის გუნდების მწვრთნელები თ. ალიბეგაშვილი, მ. პოგრებიეკი და მ. ლომთათიძე, რომელთა აღსაზრდელები თავგამოდებით იბრძოდნენ და დამაკმაყოფილებელი შედეგებიც აჩვენეს. მცხეთელებმა 131 ქულა მოაგროვეს, რუსთავის გუნდმა — 122, აჭარის წარმომადგენლებმა — 118. პირად ტურნირში საპრიზო ადგილებიც სწორედ ამ კოლექტივების სპორტსმენებმა გაინაწილეს.

თვალსაჩინო იყო, რომ სპორტსმენთა უმეტესობას შედარებით გრძელ დისტანციებზე რბოლა უჭირდა. შედეგებიც II თანრიგის ნორმატივის შესაბამის მაჩვენებლებს არ გასცილებია. 500 მეტრზე ნიჩბოსნობაში კი მონაწილეებმა I თანრიგის შედეგებიც მოიპოვეს.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ მცხეთელი ჭაბუკი ვ. გიგოშვილი. მან ორ ვარჯიშში მოიპოვა ჩემპიონობა, ერთადგილიანი ბაიდარით 500 მეტრზე შეჯიბრებაში კი სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივამდე მხოლოდ 1,2 წამი არ ეყო (დისტანცია გიგოშვილმა 2 წუთსა და 1,2 წამში დაფარა). მან 5,1 წამი მოუგო II ადგილზე გასულ ა. რაძიუკევიჩს. მესამე იყო ტ. ტრიბუნსკი (ორივე — რუსთავი) — 2. 07,0. სამივემ I თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა ჭაბუკთა ესტაფეტა კანოებით 4×500 მეტრზე. აქ თავიდანვე დაწინაურდნენ გ. ხიზანიშვილი (მცხეთა) და ნ. ხელაშვილი (რუსთავი). მეტოქეები მეორე ეტაპზეც მხარდამხარ მიდიოდნენ, მაგრამ მესამე ეტაპიდან რუსთაველები გაიჭრნენ წინ და გამარჯვებაც მათ დარჩათ. მცხეთელებმა (ზ. ახალაშვილი, ვ. ბარისაშვილი, გ. ხამხაძე, გიგოშვილი) რეკანში ბაიდარებით ესტაფეტაში აიღეს — 8. 18,2. მათ აქ რუსთაველებს 3,2 წამი მოუგეს. III ადგილზე აჭარის სპორტსმენები გავიდნენ — 8. 23,0.

გოგონებიდან უნდა გამოვყოთ რუსთაველი ა. დემიანენკო. მან ჯერ ერთადგილიანი ბაიდარებით 500 მეტრზე შეჯიბრებაში I თანრიგის შედეგით გაიმარჯვა, შემდეგ კი ორადგილიანებით ს. პლეშჩაკოვასთან ერთად ისახელა თავი.

თბილისელი სპორტსმენებისგან მეტი იყო მოსალოდნელი. IV ადგილი მათთვის მეტად მოკრძალებული შედეგია, რადგან პირობები სხვებზე უკეთესი აქვთ.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა რესპუბლიკური ნაკრები, რომელიც მოსწავლეთა საკავშირო პირველობაში (მინსკი) ჩავმენა.

ო. ბელაშვილი.

ტექნიკური შედეგები

გოგონები. 500 მ. ბაიდარა. ერთადგილიანი. დემიანენკო — 2. 26,3, პლეშჩაკოვა — 2. 30,0, ვ. დუდარეკი (მცხეთა)—2. 30,5; **ორადგილიანი.** რუსთავი — 2. 12,0, აჭარა — 2. 16,0, მცხეთა — 2. 21,9; **ესტაფეტა 4×500 მ.** ფოთი — 10. 14,4, აჭარა — 10. 17,0, მცხეთა — 10 27,2.

ჭაბუკები. 500 მ. ბაიდარა. ორადგილიანი. მცხეთა — 1. 55,0, აჭარა — 1. 56,3, ფოთი — 1. 56,7; **1000 მ. ერთადგილიანი.** ბარისაშვილი — 5. 18,0. ა. მაზურკოვი (აჭარა) — 5. 20,0, ვ. რეკა (რუსთავი) 5. 20,8; **ორადგილიანი.** აჭარა — 4. 53,0, რუსთავი — 4. 55,3, მცხეთა — 4. 55,5; **500 მ. კანოე. ერთადგილიანი.** ვ. ფიოდოროვი (თბილისი)— 2. 18,0, ხელაშვილი —2.23,0, ხიზანიშვილი — 2. 29,0; **ორადგილიანი.** რუსთავი — 2. 09,8, აჭარა — 2. 16,2, თბილისი — 2. 19,0; **1000 მ. ერთადგილიანი.** ე. ოსეფაშვილი (მცხეთა)—5.53,4, ფიოდოროვი — 6. 05,4, გ. გუშიკაშვილი (თბილისი) — 6. 16,4; **ორადგილიანი.** მცხეთა — 5. 12,6, რუსთავი — 5. 15,0, აჭარა — 5. 25,0; **ესტაფეტა 4×500 მ.** რუსთავი —9. 15,0, მცხეთა — 9. 20,4, აჭარა —9. 40,0.



ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ

მომთაბარეები ვართ თუ მოჭიდავეები?

ზაშურის რაიონის ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტი, კერძოდ, ჭიდაობა. აქ ჩვენ არ შევუდგებით იმ წარმატებების ჩამოთვლას, რასაც ბოლო წლებში რაიონის მოჭიდავეებმა მიაღწიეს. ვიტყვით მხოლოდ ერთს: გვყავს ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდობა, რომელსაც სჭირდება ნორმალური წვრთნა, მეცადინეობა.

ხამწუხაროდ, მოჭიდავეები ნელ-ნელა მომთაბარეებს დავემსგავსეთ. საკარჭიშოდ ხან ერთ დარბაზს შევეხეხნებით, ხან მეორეს. ხან რკინიგზელებს შევეცოდებით, ხან სპორტსკოლელებს, ცოტა ხნით დაგვითმობენ ადგილს, მერე კი ახალი თავშესაფრის ძებნაში დავეხეტებით.

ჩვენი გულისტკივილითვის არავის სცხელია. არავის ინტერესებს მოჭიდავეთა ბედი, ამიტომაც თქვენ მოგმართავთ თხოვნით, ძვირფასო რედაქცია. დაგვეხმარეთ და სულ მალე დარწმუნდებთ, რომ ზაშურის რაიონის მოჭიდავეებს უფრო მეტის გაკეთებაც ძალუძთ.

ზაშურის მოჭიდავეთა ჯგუფი.

ᲠᲔᲠᲘᲒᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲛᲜᲐᲖᲘᲣᲛᲘᲡ

ბათუმი

უმცროსი და უფროსი ასაკის ბავშვთა 64 გუნდი მონაწილეობდა „ტყავის ბურთის“ პრიზის საქალაქო გათამაშებაში. მე-4 სახლმმართველობის „მერცხალმა“ (მწვრთნელი ვ. მკაკია) გამარჯვება მოიპოვა უმცროს ასაკში. ამავე სახლმმართველობის გუნდი — „წითელი ეშმაკუნები“ (მწვრთნელი ლ. ვერულიძე) უძლიერესი იყო უფროს ასაკში. შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ნორჩი ფეხბურთელები პ. მოისწრაფიშვილი, ე. ნიკოლაიშვილი, ა. ჩაგანავა, ვ. დოლიძე, ლ. ჭყონია, ზ. მახარაძე, ჯ. მელაძე, ზ. ჩხეიკაძე.

ო. ბურვანიძე.

აბაშა

დამთავრდა რაიონული პირველობა ფეხბურთში საშუალო სკოლების გუნდებს შორის. შეჯიბრების ფინალური ეტაპი კარგად ჩაატარეს აბაშის მე-2 სკოლის ფეხბურთელებმა, რომლებმაც დაიკავეს I ადგილი. მომდევნო ადგილებზე არიან მარნისა და ნაესაკოვოს წარმომადგენლები.

რ. ჯანტურია.

თერჯოლა

სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. მარღანიას სახელობის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ალისუბნისა და ქვედა სიმონეთის ნორჩი ფეხბურთელები. თამაში მოიგო ქვედა სიმონეთის გუნდმა — 2:1.

რ. გველესიანი.

რათა კვლავ გაითქვას სახელი

ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲘᲗ წავიკითხე გაზეთ „ლელოში“ გამოქვეყნებული წერილები „სათ მიდის ქართული ფარიკაობა?“ და „მოყვარეს პირში უძრახე“. ჩემი აზრით, ორივე სტატია ქართული ფარიკაობის ზედმიწევნით საჭირბოროტო საკითხებს ეხება.

ეჭვი არ უნდა, ბოლო წლებში საგრძნობლად დაქვეითდა ქართველ მოფარიკავეთა მიღწევები. რამდენიმე წლის წინათ საქართველოს მოფარიკავეები შიშის ზარს სცემდნენ მოძმე რესპუბლიკების ნაკრებ გუნდებს, წარმატებით გამოდიოდნენ საკავშირო პირველობებში, გუნდის ბევრი წევრი საბჭოთა ქვეყნის ნაკრებში ირიცხებოდა და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი ხახელმწიფოს ღირსებას იცავდა.

ხამწუხაროდ, მწვრთნელთა უმრავლესობა მიღწეულით დაკმაყოფილდა, ზოგიერთი მათგანი სხვადასხვა მიზეზის გამო ფარიკაობიდან წავიდა, ხოლო მწვრთნელებმა, რომელნიც სათავეში ედგნენ ნაკრებ გუნდს, არ იზრუნეს მომავალი თაობის აღზრდაზე, რამაც, ბუნებრივია, თავისი შედეგი გამოიღო: იკლო მოფარიკავეთა რიცხვმა, დაქვეითდა ქართული ფარიკაობის მიღწევები, სულ უფრო პატარა სპორტული ნადავლით სტოვებენ საკავშირო შეჯიბრებებს ქართველი მუშკეტერები, თითქმის აღარავინაა სსრ კავშირის ნაკრებში. მწვრთნელთა უმრავლესობა თანამედროვე ფარიკაობის პირობებში სხვადასხვა მიზეზით ვერ ამართლებს თავის მოვალეობას.

სწორად შენიშნავენ წერილების ავტორები, რომ ფარიკაობის ფედერაციის გულგრილად ეკიდება საქმეს, უფრო ზუსტად, არაფერს აკეთებს, რომ ფიზკულტურის ინსტიტუტში აღზრდილ ფარიკაობის მწვრთნელებს თავისი შესაფერისი სამუშაო მიუჩინოს. ბუნებრივია, ფარიკაობის ბევრი სპეციალისტი, რომელთაც შეეძლოთ თავიანთი წვლილი შეეტანათ კვალიფიციურ მოფარიკავეთა აღზრდაში, სხვა რესპუბლიკებში მიდის სამუშაოდ ან სხვა გზას ადგება.

საქართველოს ნაკრებ გუნდში ვეღარ ვხვდებით ქუთაისის, ხოსუმის, ბათუმისა და სხვა ქალაქების წარმომადგენლებს, თუმცა წინათ ისინი საკმაოდ ძლიერ კონკურენციას უწევდნენ დედაქალაქის მოფარიკავეებს. მწვრთნელთა უმრავლესობას წარმოდგენა არა აქვს წვრთნის თანამედროვე პროგრესულ მეთოდებზე. ამიტომ აუცილებელია ფართო ღონისძიებათა გატარება მწვრთნელების პროფესიული დონის ასამაღლებლად. ჩემი აზრით, დადგა დრო, რომ ფარიკაობის ფედერაციამ მეტი უურადღება მიაქციოს ფიზკულტურის ინსტიტუტში აღზრდილ მწვრთნელთა განაწილების საქმეს როგორც დედაქალაქში, ისე რაიონებში. ამასთან, რაიონებში მომუშავე ფარიკაობის მწვრთნელებისგან ხშირად უნდა ჩავბაროთ ანგარიში — რას აძლევენ ქართულ ფარიკაობას!

თანამედროვე ფარიკაობის განვითარებამ ისეთ დონეს მიაღწია, რომ ყოველ მწვრთნელს მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი. საჭიროა მათ თავი დაანებონ უპერსპექტივო ჯგუფებთან მუშაობას, თავიანთი ჯგუფები დაკომპლექტონ ნიჭიერი სპორტსმენებით, რომლებიც წვრთნისადმი სერიოზული დამოკიდებულებით და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან. საჭიროა, აგრეთვე, რომ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მუშაობისა და წვრთნისთვის შესაფერისი პირობები შეექმნათ.

შეჯიბრებებზე ხშირად ვხვდები საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელებს. როგორც მათი ლაპარაკიდან ჩანს, რესპუბლიკის სპორტული ბაზებისა და ინვენტარის მდგომარეობა ვეღარ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს. ეს ფაქტი, უდავოდ, დიდ ზიანს აყენებს ფარიკაობის განვითარებას. ამას გარდა, რაიონებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თბილისშიც ბევრი არბიტრი ვერ ერკვევა მსაჯობის ელემენტარულ წესებში. მსაჯთა დაბალი კვალიფიკაცია კი ხშირად ხელს უშლის შეჯიბრებების ნორმალურად ჩატარებას.

ა. გოგელია სამართლიანად შენიშნავს: ადრე მოფარიკავეთა შეჯიბრებებს სხვა შნო და ლაზათი ჰქონდაო. მართლაც მაშინ შესანიშნავი მსაჯები გვყავდა: ლ. გოლოვნია, ა. მეიფარიანი, კ. გამრეკელი, ო. დიდებულიძე, გ. ჩიკოვანი, კ. გოგელია, გ. ჯაიანი, ო. კიკალეიშვილი და სხვ. ახალგაზრდები მათგან სწავლობდნენ, ენდობოდნენ ყოველი სადავო საკითხის გადაწყვეტაში. შეჯიბრებაც შეჯიბრებას ჰგავდა. საჭიროა ფარიკაობის ფედერაციამ მეტი ყურადღება მიაქციოს ამ საკითხს, გაატაროს სათანადო ღონისძიებანი მსაჯობის პროფესიული დონის ასამაღლებლად.

1971 წლის სპარტაკიადამდე ერთი წელი დარჩა. საჭიროა ფარიკაობის ფედერაციამ ახლავე იზრუნოს შეცდომების გამოსწორებისთვის, დასახოს სწორი სამოქმედო პროგრამა და განახორციელოს იგი.

ა. ქვრივიშვილი,
აფხაზეთის სსრ-ის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

ალმა-ათა.

სსრ კავშირის პირველობა



სურათზე: ჭუთაისის „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატის“ შეხვედრის მომენტი. ერევნელების დაცვა იგერიებს ტორპედოელთა მორიგ იერიშს.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

ტურნირი „რივიერაზე“ დასრულებულია

სოჩი, 3 ივლისი (საკუთარი სპეც. კორ. ჰ. ხაჩოვანიანი). დღეს აქ მშვენიერი, მზიანი დარი იდგა, მაგრამ ზღვის პლაჟს ბევრმა მაინც „რივიერას“ პარკი ამჯობინა, სადაც სამბისტთა საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობენ ბულგარეთის, ჰოლანდიის, მონღოლეთის, იაპონიისა და სსრ კავშირის მოჭიდავეები.

გუშინ ფრენისთვის შესაფერი ამინდი არ იყო და უცხოელი სპორტსმენები გვიან საღამოს ჩამოვიდნენ სოჭში. დილით უმჩატესი, პირველი ჭვესაშუალო და მეორე საშუალო წონების წარმომადგენლები უკვე ხალიჩაზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

წინასწარ შეჯიბრებებში წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა სამბისტებმა, მაგრამ არც სტუმრები გამოსულან ცუდად.

მაგალითად, შარშანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა, ბულგარელმა ი. მურადოვმა, რომელსაც ამჯერად მეორე საშუალო წონაში ჰქონდა დებიუტი, მაგრამ გ. ტანდელოვს (ორჯონიკიძე), თუმცა შემდეგ წააგო ა. ტროფიმოვთან (ელექტროსტალი), რომელსაც უმნიშვნელო უპირატესობა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მურადოვი ნახევარფინალში გავიდა და სამახსოვრო ბრინჯაოს მედალი მაინც აქვს განაღდებული. ტურნირის წესებით, ყოველი ჭვეჯგუფიდან ნახევარფინალში ორ-ორი სპორტსმენი გადის და მათგან მხოლოდ ერთი იქნება სსრ კავშირის წარმომადგენელი.

იღბლიანი გამოდგა ლენინგრადელი ვ. კიულენენის (უმჩატესი წონა) დებიუტი. მან ორი წმინდა გამარჯვება მოიპოვა და მცირე უპირატესობით აჯობა გამოცდილ ჩელიაბინსკელ ვ. მასეიჩუკს. კიულენენი ნახევარფინალში გავიდა, სადაც ჰოლანდიელ ტ. ლამერსს შეხვდება.

შეჯიბრება 5 ივლისს დამთავრდება.



ფეხბურთი

I ჯგუფი

ცხადია, „ლოკომოტივს“ მეტი შეუძლია

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 3 ივლისი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (სუობიშევი) 1:0 (0:0).

„ლოკომოტივი“: ბერიძე, ფრიდმანი, გოგიჭანაშვილი, ქელეხიძე, ფილია, ძაგანია, ჭორბენაძე (შხვაცაბაია), ყიფიანი, ბახტაძე, ხუციშვილი, ჭელიძე.

„კრილია სოვეტოვი“: ბლოხინი, კობილსკოვი, სახაროვი, პლატონოვი, ვალკოვი, პანფილოვი, ზუევი, არიაპოვი (მარტინოვი), კუპრიანოვი (გეცკო), კაზაკოვი (ტიმოფეევი), იუტკინი.

მსაჯი ჰ. გავრილიადი (სოჭი).

კუბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გაცნობა თბილისელი მაყურებლისთვის ზედმეტად მიგვაჩნია. უმაღლესი ლიგის ჯერ-ერთი ვეტერანი ახლა „უბედური შემთხვევის“, შარშანდელი მარცხიანი სეზონის გამო თამაშობს ერთი საფეხურით დაბლა, მაგრამ, ადრინდელისგან განსხვავებით, მას არ დაუკარგავს წამყვანი მოთამაშეები, არ დაუკარგავს რწმენა, რომ ისევ შეუერთდება უძლიერესთა მწყობრს და ყოველ ღონეს ხმარობს ამ მიზნის მისაღწევად. გუნდს აქვს კიდევ ხაამისო შანსი — იგი ლიდერთა შორისაა.

ამიტომ თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრა კუბიშეველებთან დიდ ინტერესს იწვევდა და მოლოდინი გამართლდა. მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა შეუპოვარი, დაძაბული ბრძოლა, ამასთან, ორივე მხარე თამაშობდა მაღალ სპორტულ დონეზე, ტექნიკურად და ტაქტიკურად გამართულად. გამარჯვება გათამაშების ერთ-ერთ ლიდერთან, რა თქმა უნდა, სასიხარულოა ლოკომოტიველთა გულშემატკივრებისთვის, მაგრამ მას ერთი საწყენი მხარეც ახლავს: ამ მატჩში ერთხელ კიდევ ცხადი გახდა, რომ რკინიგზელებს გაცილებით მეტი შესაძლებლობები აქვთ, გაცილებით მეტი შეუძლიათ, რატომ უნდა იყოს თბილისის გუნდი ბოლოსწინა, 21-ე ადგილზე, როცა მას დიდი პოტენციური ძალა გააჩნია? ეტყობა, საჭიროა მეტი მონდომების გამოჩენა, მეტი ძალ-ღონის დახარჯვა, განსაკუთრებით — მეტოქეთა მინდვრებზე.

... მინდორზე პირველივე წუთებიდან გაჩაღდა ტემპიანი, ცოცხალი თამაში, ორმხრივი იერიშები. ბერიძეს ძნელი ბურთების აღება მოუხდა კაზაკოვის, კუპრიანოვის, არიაპოვისგან, მაგრამ სტუმრებიც გადარჩნენ ძაგანიას, ბახტაძის, ჭელიძის გარღვევების შემდეგ.

პირველ ტაიმში ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო, შესვენების შემდეგ კი უპირატესობა თბილისელებმა ჩაიგდეს ხელში. მათი იერიშები უფრო მაზანდასახული, გეგმიანი გახდა. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ახალგაზრდა თავდამსხმელის ყიფიანის ეფექტური, ოსტატური თამაში. ამ ფეხბურთელის ნიჭსა და მონაცემებზე ჩვენ ადრეც გვითქვამს, მაგრამ მას დიდი ნაკლიც ახლავს თან — ნაკლები ბრძოლისუნარიანობა და მოქმედების შეცირე დიაპაზონი. პირველ ტაიმში ყიფიანს ამ დღესაც ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ შესვენების შემდეგ მან ნამდვილი სიამოვნება მოპგვარა მაყურებელს ეფექტური, ორიგინალური თამაშით. ასე უნდა ითამაშოს მან მომავალშიც, ყველაფერი მისცეს ბრძოლას და, ეჭვს გარეშეა, ჩვენს ფეხბურთს ერთი ახალი მაღალი კლასის ოსტატი შეემატება.

... 53-ე წუთზე თბილისელებმა თავდასხმაზე გაიყვანეს ხუციშვილი. მეკარე ბლოხინმა ხელი სტაცა ფორვარდს და წააქცია იგი. პენალტი ზუსტად გამოიყენა თვით ხუციშვილმა.

რ. ჟორიჟე.

დაწესდა გადასასვლელი მატჩები

იმ მიზნით, რომ საკავშირო და რესპუბლიკური შეჯიბრებებში მონაწილე საქართველოს საფეხბურთო კოლექტივებს მეტი ხტომული შეექმნათ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დაადგინა რესპუბლიკის 1970 წლის ჩემპიონი ფეხბურთში საგაისოდ გადაყვანილ იქნას „ბ“ კლასში, მაგრამ იმ პირობით, თუ ჩემპიონს ექნა 10.000-ადგილიანი სტადიონი. თუ მას ასეთი სტადიონი არ ექნა, „ბ“ კლასში გადასვლის უფლება ეძლევა შემდგომ ადგილზე (არანაკლებ III საპრიზო ადგილისა) გასულ გუნდს. კოლექტივი, რომელიც „ბ“ კლასში საქართველოს გუნდებს შორის ყველაზე უარეს ადგილს დაიკავებს, 1971 წლისთვის რესპუბლიკის ჩემპიონატში ითამაშებს.

სიახლეა შეტანილი „ა“ კლასის გუნდების შეჯიბრების დებულებაშიც. მაგალითად, „ა“ კლასის II ჯგუფში საუკეთესო ადგილზე გასული გუნდი სეზონის დასასრულს ორ გადასასვლელ თამაშს ჩაატარებს „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდთან და გამარჯვების შემთხვევაში დაიკავებს მის ადგილს, ხოლო დამარცხებული II ჯგუფში გადავა.

კომიტეტმა გათვალისწინა, რომ „ა“ კლასის II ჯგუფის გუნდებს უნდა შეექმნათ საშუალება შეეგუონ ახალ პირობებს, აიმაღლონ სპორტული ოსტატობა. ამ მიზნით 1971 წლისთვის ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ ადგილებს. მაგრამ 1972 წლიდან „ა“ კლასის II ჯგუფში უარეს ადგილზე გასული გუნდი გადავა „ბ“ კლასში, ხოლო მის ადგილს დაიკავებს რესპუბლიკის „ბ“ კლასის საუკეთესო გუნდი.

დაზუსტდა მოთამაშეთა გუნდიდან გუნდში გადასვლის ვადები. ეს მოხდება ყოველი წლის 1-დან 30 დეკემბრამდე.

XXXVII სსრ კავშირის ჩემპიონატი

შეხვედრები გადატანილია

იმის გამო, რომ კიევის ორივე გუნდი საზღვარგარეთულ ტურნეში იმყოფება, კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ზოგიერთი მატჩი გადაიდო.

მაგალითად, 6 ივლისის შეხვედრა: „დინამო“ (თბილისი)—„სტროიტელი“ და 7 ივლისის მატჩი: ასკ — ცსკა გადატანილია 30 ივლისისთვის. სხვა შეხვედრები, კერძოდ კიევის „სტროიტელისა“ და ასკ-ს (უნდა ჩატარებულიყო 2 ივლისს), კიევის არმიელთა და თბილისის „დინამოს“ (10 ივლისი), აგრეთვე, ალმა-ათის „ლოკომოტივისა“ და „სტროიტელის“ (10 ივლისი) ორთაბრძოლები აგვისტოში გაიმართება. ზუსტი თარიღები მოგვიანებით გამოქვეყნდება.

მასპინძლებმაც, სტუმრებმაც...

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის კიდევ ორი მატჩი.

ტარტუ. „კალევისა“ და მოსკოვის დინამოელთა ბრძოლა უაღრესად მძაფრი და საინტერესო გამოდგა. მასპინძლებმა გაიმარჯვეს მინიმალური უპირატესობით — 57:56.

ალმა-ათა. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს“. უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო. მათ ტაიმიც თავის სასარგებლოდ დაამთავრეს (43:24) და შეხვედრაც—79:63.

რეკორდები

სოჭი, 4 ივლისი. ბულგარელმა ძალოსანმა ვ. კუჩევმა (ქვემსუბუქი წონა) ორი კვირაც კი არ დაისვენა ევროპის ჩემპიონატში გამარჯვებიდან და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: 135 კგ აჭიმა, რაც მისივე ძველ მიღწევას 2,5 კგ-ით სჯობს.

135 კგ!

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	28	25	3	2348—1961	25
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	28	21	7	2094—1875	21
„სტროიტელი“ (კიევი)	26	20	6	2074—1861	20
„უალგირისი“ (კაუნასი)	26	19	7	2052—1965	19
„დინამო“ (მოსკოვი)	27	15	12	2186—2107	15
„კალევი“ (ტარტუ)	27	14	13	2123—2111	14
„დინამო“ (თბილისი)	27	14	13	2166—2186	14
ასკ (კიევი)	27	10	17	1937—1977	10
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	28	8	20	2018—2253	8
ასკ (რიგა)	26	7	19	1902—2061	7
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	26	5	21	1932—2184	5
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	27	4	23	1961—2231	4

59:95

თბილისი. სპორტის სახახლე. 3 ივლისი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — ცსკა 59:95 (24:45).

„ბურევესტნიკი“: ბაჟიაშვილი (15), ძიძიგური (12), ნინიაშვილი (11), პულავსკი (6), მაისურაძე (6), ჯუღელი (5), მანგაძე (2), ფირცხალაიშვილი (2), გლურჯიძე, ჩხიკვაძე.

ცსკა: ყარმუხამედოვი (14), გილგნერი (11), ხ. ბელოვი (11), ხელიხოვი (10), ილიუკი (9), კოვირკინი (8), კრიუჩკოვი (7), ზახაროვი (6), ბლიკი (6), ანდრეევი (5), კულკოვი (4), კაპრანოვი (4).

მსაჯები: ლ. ფლიგელმანი (ოდესა), ს. კოპიტოვი (კიევი).

• • •

სურათზე: შეხვედრის მომენტი.

შ. ზარგარიანის ფოტო.



ბიბლიოთეკა

ᲛᲝᲮᲓᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ

ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში და ფიფა-ს აღმასრულებელმა კომიტეტმა წინადადება წამოაყენა მოხდეს ცვლილებები დიდ საერთაშორისო შეჯიბრებათა დებულებაში. ამ წინადადებათა დამტკიცება და დაკანონება შეუძლია მხოლოდ წესების საერთაშორისო საბჭოს, რომელშიც შედიან ირლანდიის, შოტლანდიის, ინგლისისა და უელსის წარმომადგენლები.

ფიფა-ს აღმასკომმა გადაწყვიტა დიდ საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონატშიც, დაწესებული კანონი კენჭისყრისა შეცვალოს 11-მეტრიანი დარტყმებით. ამას გარდა, განზრახი ბლოკირება ნაცვლად ახლა დაწესებული თავისუფალი დარტყმისა შეცვალოს საჯარიმოთი.

თუ გამარჯვებულს ვინაობა არ გაირკვა, აღმასკომს საჭიროდ მიაჩნია კენჭისყრის ნაცვლად შესრულდეს 5-5 11-მეტრიანი ორივე მხარეს. თითოეული გუნდი ირჩევს 5 პენალტისტს და ყოველივე მათგანი ასრულებს თითო დარტყმას. ამ დროს ის მოთამაშეები, რომლებიც არ მონაწილეობენ პენალტის დარტყმაში, მინდორზე არ უნდა იყვნენ. ყველა პენალტი სრულდება ერთ კარში, რომელსაც მსაჯი აირჩევს. თუ ორივე გუნდის მიერ შესრულებული პენალტების შემდეგ ანგარიში თანაბარი იქნა, კვლავ ინიშნება პენალტები და ასე მანამ, სანამ გამარჯვებული არ გამოვლინდება.

წესების საერთაშორისო საბჭოში განსახილველად შეტანილია კიდევ ერთი საკითხი, რომ კუთხური დარტყმის მიწოდებისას ბურთი იყოს სეგმენტის შუაში და არავითარ შემთხვევაში ხაზზე, როგორც ეს ახლა ხდება ხოლმე.

„ᲛᲝᲭᲐᲓᲠᲐᲙᲔ ᲘᲦᲘᲛᲔᲑᲐ“

ᲐᲡᲔ ᲔᲬᲝᲓᲔᲑᲐ გასართობი საჭადრაკო მოთხრობების წიგნს, რომელიც საკავშირო გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოსცა. წიგნის ავტორს — სპორტის დამსახურებულ ოსტატ ვ. კოროლკოვს კარგად იცნობს ჭადრაკის ყველა მოყვარული. „იგი ყველა დროის ყველაზე გონებამახვილი საჭადრაკო კომპოზიტორია“, — სამართლიანად წერდა ამერიკული ჟურნალი „ჩესი“, როცა მკითხველებს კოროლკოვის შემოქმედებას აცნობდა.

ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის ინჟინერმა ვ. კოროლკოვმა თავისი პირველი ეტიუდი თითქმის 40 წლის წინათ შეადგინა. ახლა კი მის ანგარიშზეა უკვე 300 ნამუშევარი. მათგან მესამედზე მეტი პრიზებითაა აღნიშნული. ნიჭიერმა ეტიუდისტმა 130 კონკურსში მიიღო მონაწილეობა და დაახლოებით ორმოცჯერ მოიპოვა გამარჯვება. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ კოროლკოვი სამჯერ დააჯილდოვა ოქროს მედლით.

საგულისხმოა, რომ კოროლკოვის გატაცებას იზიარებს მისი მეუღლე ო. სემიონოვა-ტიან-შანსკაია, გამოჩენილი რუსი მოგზაურის პ. სემიონოვ-ტიან-შანსკის შვილიშვილი, სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა შორის 1934 და 1936 წლებში.

ვ. კოროლკოვი საჭადრაკო კომპოზიციაში რამდენიმე წიგნისა და ბევრი სტატიის ავტორია. თავის ახალ წიგნში — „მოჭადრაკე იღიმება“ მან 27 მოთხრობა შეიტანა.

შეიძლება დავეთანხმოთ წიგნის ავტორს, რომელიც წინასიტყვაობაში წერს: „სპეციფიკურია საჭადრაკო იუმორი — ყოველი მოთხრობის საინტერესო მხარეს, პირველ ყოვლისა, განსაზღვრავს საჭადრაკო პოზიციის გონებამახვილობა, რაც მის საფუძველშია ჩაქსოვილი“. და რაკი მოთხრობებში მოყვანილი პოზიციების უმრავლესობა კოროლკოვის შედგენილია, ნათელია, რომ ჭადრაკის მოყვარულებმა შესანიშნავი საჩუქარი მიიღეს.

განსაკუთრებით დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს პოზიცია მოთხრობიდან „გმირული ბრძოლა“, სადაც მარტოხელა თეთრი მეფე იმარჯვებს მეტოქის ეტლის, კუსა და მხედრის წინააღმდეგ ბრძოლაში. საინტერესოა, აგრეთვე, ეგრეთ წოდებული „გამომსახველი“ ანუ „სიმბოლური“ ეტიუდები მოთხრობებიდან „საახალწლო ნაძვის ხე“ და „შესანიშნავი წამალი“. უნდა აღინიშნოს მოთხრობა „კოსმოსური პარტიაც“, სადაც მოცემული პოზიციის ამოხსნისას აუცილებელია გაითვალისწინო, რომ საჭადრაკო დაფა კოსმოსურ ხომალდში უწონადობის მდგომარეობაშია.

Ვ. ᲙᲐᲡᲐᲞᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲘᲡ“ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ...

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲘ

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობა „საქართველოს“ კულტურის სახლში ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ჭაბუკ ძალოსანთა პირადი პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ჩვენი რესპუბლიკის 6 რაიონის 60-მდე ათლეტი.

მონაწილენი ორ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი: უმცროსი (1953-55 წლებში დაბადებულნი) და უფროსი (1950-52 წლებში დაბადებულნი) ასაკის ჯგუფებად.

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის გაიმარჯვეს: ტონაგანინმა (მახარაძე), ბატიაშვილმა (თელავი), მამიაშვილმა (წყალტუბო), ვართანიანმა (ახალციხე), მაისურაძემ (თელავი), ხობუამ (წყალტუბო) და ბაბოევმა (თელავი).

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ტოლი არ ჰყავდათ რაისიანს (ახალციხე), აროშიძეს (მახარაძე), შათირიშვილს (თელავი), ჯანხოთელს (მახარაძე), დემურხანაშვილს (თელავი), კირანიანს (ახალციხე), აფციაურს (თელავი) და ბაბურთიანს (ახალციხე).

არ შეიძლება მადლიერებით არ აღვნიშნოთ ის დიდი ყურადღება და ინტერესი, რასაც სოფელ ნაგომრის თავკაცები და მოსახლეობა იჩენდნენ შეჯიბრებისა და მისი მონაწილეებისადმი.

რ. ᲡᲐᲐᲛᲝᲕᲘ,
შეჯიბრების მთავარი მდივანი.

13 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲜᲔᲘᲞᲔᲠᲘ

ზუგდიდსა და წალენჯიხაში ორ დღეს მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა სასტენდო სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აჭარის, გალის, ზუგდიდისა და წალენჯიხის 24 მსროლელი. მათ შორის რვა სპორტის ოსტატი იყო. მახარაძის, თელავის, დუშეთის რაისაბჭოებმა წინასწარი განცხადი წარმოადგინეს, მაგრამ საასპარეზოდ სპორტსმენები აღარ გამოგზავნეს.

ზუგდიდში ჩატარდა ტურნირი მრგვალ სტენდზე სროლაში. გაიმარჯვა მასპინძელმა ნ. დავითაიამ — 86. მას 3 ქულით ჩამორჩა მისივე თანაქალაქელი ა. ხუფენია. III ადგილზეა გალელი ნ. დარსანია — 71. სროლის ამ სახეობაში კარგი მონაცემები გამოავლინა VII კლასის მოსწავლემ, 13 წლის დ. შეროზიამ (ზუგდიდი). მან მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

წალენჯიხაში მოეწყო ასპარეზობა ადგილიდან სროლაში. ამ სახეობაში ყველას აჯობა წალენჯიხელმა ოსტატობის კანდიდატმა ე. გაბელიამ, რომელმაც 100-დან 95 ქულა მოაგროვა და სპორტის ოსტატობა მოიპოვა. II ადგილზეა ნ. შავდია (აჭარა) — 92, III — ტყვიის სროლაში სპორტის ოსტატი დ. ბაჯელიძე (აჭარა) — 89.

I თანრიგის ნორმატივი შეასრულა გალელმა ნ. დარსანიამ, რომელიც ამ სახეობაში პირველად ცდიდა ძალას.

Ჯ. ᲛᲝᲬᲝᲜᲔᲚᲘᲫᲔ,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: შეჯიბრების ნორჩი მონაწილე დ. შეროზია.

სურათზე: იტალიის უძლიერესი ჩოგბურთელი ლია პერიკოლი რომის „ფორო იტალიკოზე“ იტალიის ლია ჩემპიონატში ამერიკელ კაზალსთან თამაშის დროს.

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲧᲐᲖᲘ

◆ ᲙᲐᲠᲚᲡᲮᲐᲛᲜᲘ, 4 ივლისი. შვეიცის ამ ქალაქში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ბრუხმა 63,26 მეტრზე ტყორცნა ბადრო. ჩეხოსლოვაკიელმა ვიტკოვიცმა 3000 მ წინაღობებით 8 წუთსა და 27,1 წამში გაირბინა.

ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა.

48 კგ. 1. გიგოლაშვილი (თბილისი), 2. ჩალაური (აჭარა), 3. კანდელაკი (ქუთაისი).

52 კგ. 1. გუდაძე (წყალტუბო), 2. ცქრიალაშვილი (თბილისი), 3. ასლანიდი (აჭარა).

57 კგ. 1. ღამბაროვი (ქუთაისი), 2. ხარაბაძე (თბილისი), 3. ჯორჯიკია (ახალციხე).

62 კგ. 1. მეგრელიშვილი, 2. მახარაძე, 3. მეკვანაძე (სამივე — თბილისი).

68 კგ. 1. ლეკვეიშვილი, 2. ლელაძე (ორივე — ქუთაისი), 3. დუმბაძე (აჭარა).

74 კგ. 1. ჭელიძე, 2. სირბილაძე, 3. ჭაჭიაშვილი (სამივე — თბილისი).

82 კგ. 1. რ. ღუღუნიშვილი, 2. კიკნაძე, 3. გალდავა (სამივე — თბილისი).

90 კგ. 1. გოგლიჩიძე (ქუთაისი), 2. ტყემალაძე, 3. მამისაშვილი (ორივე — თბილისი).

100 კგ. 1. ჩიბურდანიძე (თბილისი), 2. მიქელაძე (აფხაზეთი), 3. კესაევი (სამხრეთ ოსეთი).

მძიმე. 1. მორჩილაძე, 2. მაცაბერიძე (ორივე — თბილისი), 3. ღუდუშაური (ქუთაისი).

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Მ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲘᲡᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. საქართველოს პირველობა. დღეს. „ისნის“ სტადიონი. „ისანი“ (თბილისი) — „გიგანტი“ (ლაითური). დასაწყისი 18 ს. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)



ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

6 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — ᲪᲡᲙᲐ.

დასაწყისი 19 ს. და 30 წ.

ᲥᲮᲐᲠᲚᲘ ᲙᲐᲖᲔᲑᲘ

● ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 3 ივლისი. ადგილობრივი „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაუთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებით ფინალურ მატჩში აქ ანგარიშით 3:1 (15:5, 14:16, 15:6, 15:11) დაამარცხა ბრნოს „ზბროიოვკა“ და მოიპოვა ეს საპატიო პრიზი. ამ გუნდების პირველი ფინალური მატჩი ჩეხოსლოვაკიაში ალმაათელებმა „მშრალი“ ანგარიშით მოიგეს — 3:0. ამრიგად, ადგილობრივმა „ბურევესტნიკმა“ ჩვენი კონტინენტის ქვეყნების ჩემპიონთა თასი კვლავ საბჭოთა კავშირს დაუბრუნა. როგორც ცნობილია, 1960 და 1962 წლებში თასი ცსკა-მ მოიგო.

● ᲤᲣᲚᲐ, 3 ივლისი. დღეს აქ დაიწყო რუსულ შაშში სსრ კავშირის თასის გუნდური გათამაშება. შეჯიბრებაში 14 კოლექტივი მონაწილეობს, რომელთა სახელს იცავენ საერთაშორისო დიდოსტატები, მსოფლიო ჩემპიონი ა. ანდრეიკო, ვ. შჩოგოლევი, ვ. გაბრიელიანი, ი. არუსტამოვი, საერთაშორისო ოსტატები ნ. სრეტენსკი, მ. შველი, სსრ კავშირის ჩემპიონი ე. მიხაილოვსკაია, ი. სპასკაია და სხვ. თასის მფლობელი 13 ივლისს გამოვლინდება.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 7 УЦ 04337